ხელშეკრულება № 2015/30

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

თბილისი „31“ „მარტი“ 2015 წ.

სსიპ „სმართ ლოჯიქი“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“,წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **გიორგი მეჟლუმიანის** სახით და შპს **„დელტა-ნეტი“**, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი დირექტორის **პაატა ქიქოძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის №1805 განკარგულების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1 გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ინსპექტირება“ - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2 ხელშეკრულების საგანი

ოპტიკური არხებით მომსახურება (CPV-72720000).

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **4,750.00 (ოთხი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარს.**

3.2. ერთ თვეში გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართის შესაბამისად;

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4 მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების დანართი №1-ის მიხედვით 2015 წლის 1 აპრილიდან 2015 წლის 30 აპრილის ჩათვლით;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

5.2. ინსპექტირებას განახორციელებენ სსიპ „სმართ ლოჯიქის" სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის ქსელის უფროსი ადმინისტრატორი და ამავე დეპარტამენტის ქსელის ადმინისტრატორი, რომლებიც უფლებამოსილები არიან ინსპექტირება განახორციელონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად.

5.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5.4. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების დანართ №1-ში აღნიშნულ ვადებში გამოასწოროს წუნი.

6 მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7 ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო - 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორების განხორციელების ბოლო ვადა გადაიწევს მომდევნო სამუშაო დღეს.

8 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული წუნის გამოსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ასეთ შემთხვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11 დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12 ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 1 ივნისის ჩათვლით.

14 ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ „სმართ ლოჯიქი",	შპს „დელტა-ნეტი",
წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის	წარმოდგენილი დირექტორის
შემსრულებლის გიორგი მეჟლუმიანის სახით,	პაატა ქიქოძის სახით,
მისამართი: თბილისი, გორგასლის ქ. 24ა,	მისამართი: თბილისი, გაფრინდაულის ქ. 2,
ტელეფონი: 240 51 60,	ტელეფონი: 219 30 00,
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №GE24NB0330100200165022,	ანგ. №GE03TB7244836070100001,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,	სს „თიბისი ბანკი", კოდი: TBCBGE22,
სკ - 206350599	სკ - 404398503
---	---

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ჩამოთვლილი ოფისების ჩართვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობამდე (ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24ᵃ).

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ოპტიკური კონვერტორებისა და შესაბამისი ოპტიკური პაჩკორდების საკუთარი ხარჯებით მოწყობა.

ჩართვისათვის მიმწოდებელმა უნდა გამოიყენოს შიდა (არა გლობალური) IP მისამართები და ჩართვის ტექნოლოგია MPLS-L2/L3 VPN-ი.

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მოთხოვნილი მინიმალური სიჩქარის მიწოდება 90% დატვირთვისას არაუმეტეს 20 მილიწამი დაყოვნებით.

№	ობიექტის დასახელება	ობიექტის მისამართი	გამოყოფილი პორტის სიჩქარე	მინიმალური გარანტირებული სიჩქარე	მომსახურების ღირებულება (ლარი)
1	რუსთავის იუსტიციის სახლი	ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზ. 19	100Mb	20Mb	420
2	ახალციხის იუსტიციის სახლი	ქ. ახალციხე, თამარაშვილის ქუჩა	100Mb	10Mb	210
3	ყვარლის იუსტიციის სახლი	ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1	100Mb	10Mb	210
4	თელავის იუსტიციის სახლი	ქ. თელავი, ერეკლეს გამზ. 2	100Mb	20Mb	420
5	გურჯაანის იუსტიციის სახლი	ქ. გურჯაანი, თამარ მეფის ქ. 14	100Mb	10Mb	210
6	გორის იუსტიციის სახლი	ქ. გორი, გურამიშვილის ქ. 5	100Mb	20Mb	420
7	მარნეულის იუსტიციის სახლი	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. 1	100Mb	10Mb	210
8	ბათუმის იუსტიციის სახლი	ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. 7	100Mb	100Mb	1600
9	ქუთაისის იუსტიციის სახლი	ქ. ქუთაისი, ი. აბაშიძის ქ. 20	100Mb	50Mb	1050

მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს არხების გამართული მუშაობა. არხის დაზიანების შემთხვევაში დაზიანების აღმოფხვრა უნდა მოხდეს არა უგვიანეს შემთხვევის დაფიქსირებიდან 4 საათის განმავლობაში (დილის 09:00 საათიდან საღამოს 21:00 საათამდე, კვირაში 7 დღე). არასამუშაო საათებში დაფიქსირებული პრობლემა უნდა მოგვარდეს არაუგვიანეს მომდევნო დღის 10:00 საათისა.

მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მხარდაჭერის სამსახურის ფუნქციონირება, რომლის სრული რეკვიზიტებიც (ტელეფონი, ელ ფოსტა და ა.შ) უნდა აცნობოს შემსყიდველს და უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა 24 საათის განმავლობაში მომსახურების გაწევის სრულ პერიოდში.

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ამ ობიექტებზე არსებული ოპტიკური ჩართვების ალტერნატიული გზით და საკომუნიკაციო აპარატურით მიწოდება.

შემსყიდველი:
სსიპ „სმართ ლოჯიქი“,
წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის
შემსრულებლის გიორგი მექელუმიანის სახით

მიმწოდებელი:
შპს „დელტა-ნეტი“,
წარმოდგენილი დირექტორის
პაატა ქიქოძის სახით

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2015 წლის „31“ „მარტი“

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ოპტიკური არხებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში **შპს „დელტა ნეტი“**-სთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

სსიპ „სმართ ლოჯიქის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ---------- გიორგი მეჟლუმიანი

სსიპ „სმართ ლოჯიქის“ ეკონომიკური სამსახურის უფროსი ---------- ირაკლი ბალიაშვილი

სსიპ „სმართ ლოჯიქის“ სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის ქსელის უფროსი ადმინისტრატორი ---------- დავით ირემაძე

სსიპ „სმართ ლოჯიქის“ იურისტი ---------- რობერტ მაღლაკელიძე

სსიპ „სმართ ლოჯიქის“ სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის ქსელის ადმინისტრატორი ---------- ირაკლი ღლონტი

სსიპ „სმართ ლოჯიქის“ შესყიდვების სპეციალისტი ---------- ალექსანდრე ყუფარაძე